

N 2 2019

ექსპერიმენტული და
კლინიკური



6060 ჯავახიშვილი
NINO JAVAKHISHVILI
Н.А.ДЖАВАХИШВИЛИ
1913-2012

მედიცინა

Experimental & Clinical
MEDICINE

Экспериментальная и клиническая
МЕДИЦИНА

SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

ISSN 1512-0392

NJAVAKHISHVILI JOURNAL

**EXPERIMENTAL & CLINICAL
MEDICINE**

№2

**BY THE DISSERTATION COUNCILS OF THE MEDICINE, STOMATOLOGY, PUBLIC HEALTH
AND PHARMACY FACULTIES AT TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY, JOURNAL IS
INCLUDED IN A LIST OF SCIENTIFIC EDITIONS RECOMMENDED FOR PUBLISHING OF
THE DISSERTATION FRAGMENTS**

**Abstracts of articles are published in "Georgian Ref. Journal"
(www.tech.caucasus.net)**

TBILISI 2019

2. საქართველოს მთავრობის დადგენილებები ჯანდაცვის, ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროების ბრძანებულებები აღნიშნულ თემატიკასთან მიმართებაში.

3. განხორციელებული სოციალური დაცვის პროგრამების გამოცდილების შესწავლა, არსებული მონაცემების და ძირითადი დონორების მიერ (მსოფლიო ბანკი, გერმანიის განვითარების პროგრამები, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო) შესრულებული კვლევების გამოყენება.

4. საერთაშორისო და საქართველოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული საპროგრამო დოკუმენტაციები და რეკომენდაციები.



**მ.მახარაძე, რ.სულუხია, ნ.მეგრელიშვილი,
ლ.მელია, ი.თაბორიძე**

**კორელაციები სპონტანურ აბორტებსა და პაციენტის
ანამნეზურ, სოციალურ-ბიოლოგიურ და გარემო
აქტორებს შორის**

საქართველოს დაგით აღმაშენებლის სახ. უნივერსიტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ო.ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი- გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

M.MAKHARADZE, R.SULUKHIA, N.MEGRELISHVILI, L.MELIA, I.TABORIDZE
CORRELATIONS BETWEEN SPONTANEOUS ABORTIONS AND PATIENT'S HISTORY,
SOCIAL-BIOLOGICAL AND ENVIRONMENTAL FACTORS.

David Aghmashenebeli University of Georgia, Iv.Javakhishvili Tbilisi State University,
O.Gudushauri National Medical Center, Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia

SUMMARY

We retrospectively studied the clinical and laboratory features of 111 patients with spontaneous abortion from the contingent of the National Medical Center O.Gudushauri and the First Medical Center, and who were treated in 2016-2018. Data from 103 pregnant women who gave birth at a time (9 months) in the same period of time were taken for control.

Results: Weighing more than 9kg - $r=0.167^*$, $p=0.015$; Daily travel for a long distance - $r=0.303^{**}$, $p=0.000$; Unsatisfactory living conditions - $r=0.244^{**}$, $p=0.000$; Excess food intake - $r=0.230^{**}$, $p=0.001$; Allergy - $r=0.190^{**}$, $p=0.005$; Hypothyroidism - $r=0.213^{**}$, $p=0.002$; Nutrition - $r=0.359^{**}$, $p=0.000$; High physical activity - $r=0.0152^*$, $p=0.026$; Stress work - $r=0.254^{**}$, $p=0.000$; Sleep disorders - $r=0.187^{**}$, $p=0.006$; Obesity - $r=0.169^*$, $p=0.013$; Varicose disease - $r=0.228^{**}$, $p=0.001$; Menstruation cycle disorder - $r=0.334^{**}$, $p=0.000$; Inflammatory diseases of small pelvic cavity - $r=0.163^*$, $p=0.017$; Uterine myoma - $r=0.157^*$, $p=0.021$; Placenta-based - $r=0.0157^*$, $p=0.022$; Menarche - $r=0.155$, $p=0.023$.

With spontaneous abortions, a significant positive correlation is manifested in: housing and labor conditions, mode of diet, gynecological analysis.

სპონტანური აბორტების თვიდან აცილების საკითხი დღემდე გადაუჭრელია, რამდენადაც იგი დაბოკიდებულია ფაქტორთა ფართო სპექტრზე, მათ შორის მოიაზრება დედისმიერა, ნაყოფისმიერა და გარემო ფაქტორები, რომელთაგან თითოეულის წვლილი განპირობებულია პოპულაციის დემოგრაფიულ, ეთნიკურ და გენეტიკურ თავისებურებებზე, რისკის ფაქტორებში მოიაზრება: დედის ასაკი, კოფეინის, თამბაქოს, ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარება, გადატანილი სპონტანური და ხელოვნური აბორტები, წინა მშობიარობის ფაქტორები, ენდოკრინული და

იმუნოლოგიური მახასიათებლები და სხვა [6]. ამასთან გარემო ფაქტორების წვლილი სარწმუნოდ მეტია გენეტიკურზე [1]. განათლების დონე და შემოსავალი უარყოფით კორელაციამია სმონტანურ აბორტებთან [9].

ორსულობის დანაკარგების ბოტენციურ მოდიფიცირებად რისკის ფაქტორებს მიაკუთვნებენ საკვების ზემოქმედებას, მათი ზემოქმედება მოიცავს ფერტილობას, ნაყოფის განვითარებას და ორსულობის გამოსავალს [7]. აღნიშნავენ აგრეთვე დებრესიის როლს [4].

პაციენტის მიზანია კორელაციური კავშირის დადგენა სმონტანურ აბორტებსა და პაციენტის მახასიათებლებს შორის საქართველოს ბობულაციამში

მასალა და მეთოდები. ჩვენი დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა III პაციენტი თვითნებური აბორტით, რომლებიც მკურნალობდნენ აკად. ოლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში 2015-2017 წლებში. საკონტროლოდ აღებულ იქნა იგივე პერიოდში ოლუდუშაურის კლინიკის ამბულატორიულ განყოფილებაში აღრიცხვასზე მყოფი 103 ორსულის მონაცემები, რომელთაც იმშობიარეს დროულად ცოცხალი ნაყოფით.

ჩართვის კრიტერიუმები: პაციენტები სმონტანური აბორტებით, თანხმობა კვლევაში ჩართვაზე.

გამორიცხვის კრიტერიუმები: ორსულის ან მისი პარტნიორის გენეტიკური ანთმალიები.

გამოკვლევის მეთოდები კლინიკური, კლინიკურ-ლაბორატორიული, იმუნოლოგიური, მორფოლოგიური, ბაქტერიოლოგიური; ექოს მონაცემები (ჰიპერტონუსი, ჰემატომა, დეფორმირებული სანაყოფე პარკი, მიომა), ნაყოფის ანთმალიები.

შევისწავლეთ: სოციალურ-ბიოლოგიური ფაქტორები (სოციალური მდგომარეობა, პროფესიული ფაქტორები, მანე ჩვევები, კონსტიტუციური ტიპი, ასაკი); სამედიცინო-გინეკოლოგიური ანამნეზი; რისკის ფაქტორები ორსულობის დროს; თანდართული დაავადებები,

ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირი დადგინდა კორელაციური ანალიზის საშუალებით სპირმენს ტესტით; მათემატიკური უზრუნველყოფა განხორციელდა პროგრამების პაკეტის SPSS22-ის გამოყენებით.

შედეგები და განხილვა. ჩვენს მიერ შესწავლილ პაციენტთა სიმშირე ასაკის მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: 16 წელზე ნაკლები ასაკის იყო 1(0.97%), 16-25 წლის – 36(34.95%), 26-35 წლის 50(48.54%), ხოლო 36-45 წლის ასაკის – 19(18.45%).

კორელაციები ორსულობის ფაქტორებსა და სმონტანურ აბორტებს შორის მოცემულია 1 ცხრილში.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კორელაციურმა ანალიზმა გამოავლინა კავშირი სმონტანურ აბორტსა და პაციენტის სოციალურ-ბიოლოგიურ და ანამნეზურ მახასიათებლებს შორის; ლიტერატურის მიხედვით მართვად ორსულობის რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნებიან: 30 წლამდე ან მეტი ასაკი, მცირე წონა ან სიმსუქნე ორსულობის პერიოდში; ალკოჰოლის მოხმარება, დღეში 20 კგ სიმძიმის ტარება და ღამის მუშაობა [5].

ჩვენს მასალაზე გამოვლინდა კორელაციები სმონტანურ აბორტსა და საკვების ჭარბ მოხმარებას შორის, რაც აგრეთვე კორელირებს სიმსუქნესთან.

ზოგიერი კვლევის მიხედვით ქალები დაბალი განათლებითა და სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობით მიეკუთვნებიან რისკის ჯგუფს [10,11], თუმცა სხვა ავტორები ამ აზრს არ ეთანხმებიან [2]. ჩვენი მონაცემებით, სოციალური ფაქტორებიდან სმონტანურ აბორტთან კორელირებს არადაამაკმაყოფილებელი საყოფაცხოვრებო პირობები და სტრესული სამუშაო. ქცევით ფაქტორებს შორის გამოიკვეთა 9 კგ-ზე მეტი სიმძიმის ტარება, მაღალი ფიზიკური აქტივობა, ყოველდღიური მესაგრობა დიდ მანძილზე, წყვეტილი ძილი.

ცხრილი 1 კორელაციები ორსულობის ფაქტორებსა და სპონტანურ აბორტებს შორის

♀ კვ-ზე მეტი სიმძიმის ტარება	r	0.167 [*]	წყვეტილი ძილი	r	0.187 ^{**}
	p	0.015		p	0.006
ყოველდღიური მუშაობა დიდ მანძილზე	r	0.303 ^{**}	სიმსუქნე	r	0.169 [*]
	p	0.000		p	0.013
არადაშაკმაყოფილებელი საყოფაცხოვრებო პირობები	r	0.244 ^{**}	გენების გარიგოზული დააგადება	r	0.228 ^{**}
	p	0.000		p	0.001
საკვების ჭარბი მიღება	r	0.230 ^{**}	მენსტრუაციული ციკლის დარღვევა	r	0.334 ^{**}
	p	0.001		p	0.000
ალერგია	r	0.190 ^{**}	მცირე მენჯის ღრუს ანთებითი დააგადებები	r	0.163 [*]
	p	0.005		p	0.017
ჰიპოთირეოზი	r	0.213 ^{**}	საშვილოსნოს მიომა	r	0.157 [*]
	p	0.002		p	0.021
კვების რეჟიმის დარღვევა	r	0.359 ^{**}	პლაცენტა-ფუძეში	r	-0.0157 [*]
	p	0.000		p	0.022
შალალი ფიზიკური აქტივობა	r	0.0152 [*]	დაგვიანებული მენარხე	r	0.155 [*]
	p	0.026		p	0.023
სტრესული სამუშაო	r	0.254 ^{**}			
	p	0.000			

ორსულობის დანაკარგების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ჰიპოთირეოზის როლი [3,8]; ჩვენი მონაცემებით, სპონტანურ აბორტებსა და ჰიპოთირეოზს შორის დაფიქსირდა სარწმუნო დადებითი კორელაცია. ვარდა ამისა, სპონტანურ აბორტებთან კორელირებს გენების გარიგოზული დააგადება და ალერგია. გინეკოლოგიური ანამნეზიდან ჩვენს პოპულაციაში სპონტანურ აბორტებთან გამოვლინდა ასოციაციები დაგვიანებულ მენარხესთან, მენსტრუაციული ციკლის დარღვევასთან, მცირე მენჯის ღრუს ანთებით დააგადებებთან, საშვილოსნოს მიომასთან. სპონტანურ აბორტებთან უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს პლაცენტის ფუძესთან მდებარეობა.

დასკვნა. სპონტანურ აბორტებთან სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებენ: საცხოვრებელი და სამუშაო პირობები, კვების რეჟიმი, გინეკოლოგიური ანამნეზი.

ლიტერატურა

- Burri A., Cherkas L., Spector T. – Exploring genetic and environmental influences on miscarriage rates: a twin study// Twin Res. and Human Genetics, 2010; #13(2), 201-206.
- Buss L. et al. – Spontaneous abortion: a prospective cohort study of younger women from the general population in Denmark. Validation, occurrence and risk determinants// Acta Obstet. Gynecol. Scand., 2006; #85; 467-475.
- Cakmak B. et al. – Pregnancy outcomes of antibody negative and untreated subclinical hypothyroidism// J. Obstet. Gynaecol. Res., 2019; #12, 23-28.
- Costa E. et al. – Demographic, psychological and relationship factors are associated with resource loss among pregnant women// J. Reprod. Infant Psychol., 2019; #11, 1-15.
- Nilsson F. et al. – Risk factors for miscarriage from a prevention perspective: a nationwide follow-up study// BJOG, 2014; #121(1), 375-384.
- García-Enguadanos A. et al. – Risk factors in miscarriage: a review// Eur. J. Obstet. Gynecol. Reprod. Biol., 2002; #102(2), 111-119.
- Gaskins A., Toth T., Chavarro J. – Prepregnancy nutrition and early pregnancy outcomes// Curr. Nutr. Rep., 2015; #4, 265-272.
- Nazarpour S. et al. – Thyroid dysfunction and pregnancy outcomes// Iran J. Reprod. Med., 2015; #13(7), 387-396.
- Norsker F. et al. – Socioeconomic position and the risk of spontaneous abortion: a study within the Danish National Birth Cohort// BMJ, 2012; #2(3), e001077.
- Osborn J., Cattaruzza M., Spinelli A. – Risk of spontaneous abortion in Italy, 1978-1995, and the effect of maternal age, gravidity, marital status, and education// Am. J. Epidemiol., 2000; #151, 98-105.
- Price S. – Prevalence and correlates of pregnancy loss history in a national sample of children and families// Matern. Child Health J., 2006; #10, 489-500.